

ურბანული გამწვანების ცვლილება დროში - თბილისის  
განაშენიანებული ნაწილის მაგალითზე

თამარ ლობჯანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო  
ფაკულტეტზე გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიებში  
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ ელაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

(მიმართულება - გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)

თბილისი 2016

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თამარ ლობჯანიძე

26.05.2016

## აბსტრაქტი

დედაქალაქის განვითარების ადრეული ეტაპიდან მოყოლებული, მის ტერიტორიაზე ეკონომიკური, ურბანული თუ სასოფლო-სამეურნეო აქტივობების გამო, თბილისის ეკოსისტემა საკმაოდ მწირია. განაშენიანებულ რაიონებსა და ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით, საქალაქო პარკების, სკვერებისა და გამწვანებული თავისუფალი სივრცეების ფართობი ძალზედ მცირეა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფრთხო და ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს არსებობა ქალაქში წარმოადგენს უმთავრეს ინდიკატორს, მისი არსებობისა და სამომავლო განვითარების პროცესში.

კვლევის მიზანია, მოახდინოს თბილისის საქალაქო გამწვანების შესწავლა, შეფასება და ანალიზი 1970-ანი წლებიდან დღემდე. დააკავშიროს ის ურბანული განაშენიანების ცვლილების ტემპებთან და გამოკვეთოს მათი ურთიერთკავშირის ტენდენციები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. დადგინდეს უმთავრესი პრობლემური ზონები და ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდეს რეკომენდაციები.

ნაშრომში გამოყენებულია 1970, 1990, 2003, 2009 და მიმდინარე 2015-2016 წლების თბილისის ქალაქგეგმარებითი გენერალური გეგმების (გენპროექტი) ტექსტური და ციფრული მონაცემები. აგრეთვე ქალაქის ურბანული განვითარების კონცეფციის სხვადასხვა კონკურსების მასალები და ორთო ფოტოები, რომლებიც გადაღებულია დედაქალაქის ტერიტორიებზე 2001, 2005, 2008, 2010, 2013 და 2016 წლებში. მათი დახმარებით მოგვეცა საშუალება, დაგვენახა ქალაქში გამწვანებული ტერიტორიების ცვლილების დინამიკა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ქალაქგეგმარება, განაშენიანება, ურბანიზმი, გამწვანება, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, გეომონაცემთა ბაზა.

## Abstract

Ecosystem of Tbilisi is very poor, because from the beginning of its planning, there were high intensive of economical, urban and agricultural activities. To compare areas of city parks, squares and green open spaces with developed areas and city dwellers are very little and small.

To take into consideration everything mentioned above, safe and healthy environmental area in the city is main indicator for its wellbeing and process of future development.

Main idea of research is to study, evaluate and analyze greening of the city from the 1970's till today. It should be linked to types of urban development and outlined tendency of its interconnection – how it should be done and possible. The research is oriented as well to study main problematic zones of the city development and according to foreign experience should be prepared recommendations.

In this research was used 1970, 1990, 2003, 2009 and ongoing 2015-2016 years Tbilisi city planning, especially general ones [General City plan project] with its narrative and digital data base. As well, were used materials from various urban competitions of urban planning and orthographic photos which are taken in city territory in: 2001, 2005, 2008, 2010, 2013, 2016 year. We were able to see dynamic of changes in greening of the city.

**Key words:** Urban Planning, Urban Built Up, Urbanism, Greenery, Geographic Information System, GeoDataBase.